ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4225571

ნომერი: AR1637819

თარიღი : 16.10.2018

გაცემის თარიღი : 19.10.2018

გაცნობის თარიღი : 19.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტრიკოტაჟი , N 3 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ.ნინუა , N 3 ; ქალაქი თბილისი , ნინუას ქუჩა N3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ვედიაშვილი პ/ნ 01030002912
- თბილისი კ.ხეთაგუროვის ქ. N 40

ორგანიზაცია:

- შპს დაჩი-98 კოდი: 200043265

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- საპროექტო მიწის ნაკვეთი ფუნქციური ზონის მიხედვით მდებარეობს სამრეწველო ზონა 1-ში (ს1) სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკადასტრო გეგმაზე ასახეთ არსებული და საპროექტო შენობების ფუნქციური დანიშნულება და ასახეთ ასევე ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების რაოდენობა , რომელთა საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს;

- გაითვალისწინეთ, რომ I კლასს განეკუთვნება:60 კვ.მ-მდე ფართობის (იანგარიშება იატაკის დონეებზე სართულების განაშენიანების ჯამური ფართობის მიხედვით), 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ის.

- მიეთითოს შენობის ტიპი: კარკასულია თუ მონოლითური , კარკასულის შემთხვევაში დაიტანეთ კოლონები ხოლო მონოლითურის შემთხვევაში მზიდ კედლებს შორის მალის სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 5- მ-ს;

- ვინაიდან უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე გადის ხაზოვანი ნაგებობა (ს/კ N 01.00.185) გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენი შესაბამისად წარმადგინეთ აღნიშნული მესაკუთრის, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული თანხმობა(როგორც წერილობითი ფორნმით ასევე დამოწმებული გრაფიკული მასალა) შენობა-ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით.

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.